4
ყ-831

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ყრუაშვილი ირინა

# ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები გერმანულ ენაში

სპეციალობა: 10.02.04 – რომანულ-გერმანიკული
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2003

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ყრუაშვილი ირინა

# ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები გერმანულ ენაში

-1888-

სპეციალობა: 10.02.04 – რომანულ-გერმანიკული
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2003

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვიოლეტა ფურცელაძე

ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მანანა პაიჭაძე (10.02.04)

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი რუსუდან თაბუკაშვილი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის „26“ მარტს 12 30 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.01. N7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380028 ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №1. კორპ. I, აუდ. №93).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (380047 ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2003 წლის „21“ თებერვალს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /გ. წიბახაშვილი/

# სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სიტყვაწარმოების თეორიის კომპეტენციაში შედის წესებისა და მოდელების დადგენა, რომელთა მიხედვითაც ხდება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების წარმოქმნა და იმ ხელისშემწყობი თუ ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზემოქმედებენ წარმოქმნის პროცესზე. ლექსიკის ინტენსიური შევსების პროცესი, რომელიც ესოდენ თვალსაჩინოა გერმანული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მოითხოვს სიტყვაწარმოებითი მოდელების ინტერპრეტაციისათვის საჭირო პრინციპებისა და სათანადო მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას. თეორიული დებულებების მართებულობა უნდა შემოწმდეს სიტყვაწარმოებითი ინვენტარის, ბაზისური ერთეულების ფორმალური და სემანტიკური კლასიფიკაციის, მათი პროდუქტიულობისა და აქტივობის ხარისხის დადგენის გზით. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის, როგორც საბაზისო ერთეულის, პოსტულირება საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს ის პროცესები, რომლებიც თან სდევს ლექსიკის შევსებას, და გამჭვირვალეს ხდის სიტყვაწარმოებითი ერთეულების განვითარების დინამიკას სიმპლექსიდან დერივატამდე.

***თემის აქტუალობა.*** სიტყვაწარმოებას, როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალებას, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: 1) ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა ენაში არსებული მოდელების ბაზაზე; 2) ნასესხობების, განსაკუთრებით ტერმინოლოგიის, მძლავრი ნაკადის შემოდინება; 3) ეკონომიის კანონის მოქმედება, რაც გამოიხატება სემანტიკურად ტევადი რთული ენობრივი ერთეულების წარმოქმნაში კომპრესიის საფუძველზე. ხმარებაში შემოდის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა სემანტიკურ ექსპლიკაციას არა თუ ერთი, არამედ რამდენიმე წინადადება ესაჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ ნიშან-თვისების კატეგორიასთან დაკავშირებული დასახელებები თანამედროვე გერმანულ ენაში აშკარად ნაკლებადაა წარმოდგენილი, ვიდრე საგანთა სახელწოდებები, ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს მაინც დიდი წვლილი შეაქვთ ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.